საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2746 2019 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირების საქართველოში ექსტრადიციასთან ან უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეების სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით საქართველოში გადმოყვანასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამისათვის – „პენიტენციური სისტემის მართვისა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის“ – გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი – 26 02 01), საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფი, საქართველოს

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირების საქართველოში ექსტრადიციასთან ან უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეების სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით საქართველოში გადმოყვანასთან დაკავშირებული ავიაბილეთების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 20 000 (ოცი ათასი) ლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**